

ქალაქი ქუთაისი

18 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, შოთა მურღულიას სახით,

მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3

საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170

ტელეფონის ნომერი: +995 (431)-24-54-54

ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge

ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: №200122900

(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შ.პ.ს. „პარმალი“

წარმოდგენილი შ.პ.ს. „პარმალი“-ს დირექტორის, თემურ შარიქაძის სახით,

მის: ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის №108, 36

საიდენტიფიკაციო ნომერი: №205286849

ტელეფონის ნომერი: +995 599-90-13-04

ვებ გვერდი: Ltd.parmagi@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტი: „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: №GE37BG0000000607283000

(შემდგომში მომწოდებელი)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის, შ.პ.ს. „პარმალი“-ს სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია



შ.პ.ს. „პარმალი“



2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1 შოთა რუსთაველის გამზირი №9-ში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი და გეგმა-გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
- 2.3 კლასიფიკატორის კოდი - 45442180.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 162000 (ასსამოცდაორი ათასი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად შეამოწმოს სამუშაოები, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ, სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.
- 4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 4.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.
- 4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
- 4.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს სამუშაოს შესრულების მოცულობას, ხარისხს და ვადებს.

5. სამუშაოს შესრულების ვადები

- 5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს შოთა რუსთაველის გამზირი №9-ში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხელშეკრულების დადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2016 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.
- 5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, 2016 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.
- 6.2 შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.
- 6.3 სამუშაოს დასრულების ვადად ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.
- 6.4 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის



შ.პ.ს. „პარმაღი“



- 7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
 - ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,
 - ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
 - გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,
 - დ) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,
 - ე) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ.-ს ანგარიშფაქტურა.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შემდეგ, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

7.5 „მიმწოდებლი“-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 20%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებლი“-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ვადას (წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ. დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი“ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დააკავებს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ს, რომლის ნახევარს (2.5%) დააბრუნებს სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) სამუშაოების საგარანტიო ვადის (ორი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატივა ვალდებულია არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია



შ.პ.ს. „პარმაღი“



- (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
- 9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

- 10.1 „მიმწოდებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.
- 10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი (ქვეკონტრაქტი) არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 12.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია.
- 12.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 12.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- 12.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

- 13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
- 13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია



შ.პ.ს. „პარმაღი“



- 13.3 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, (თვითნებურობის ფაქტის დადგენა მოხდება „შემსყიდველი“-ს მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე პერიოდში) „მიმწოდებელი“ გადაიხდის ჯარიმას 97200 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.
- 13.4 ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ვადაგადაცილებულ დღეებზე.
- 13.5 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს სამუშაოების დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
- 13.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 13.5 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 13.7 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ გადაიხდის პირგასამტეხლოს, 129600 (ას ოცდაცხრა ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.
- 13.8 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 და 13.7 მუხლებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოიყენება ერთდროულად.
- 13.9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
- 13.10 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 13.11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 13.5 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

14. დაუძლეველი ძალა

- 14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.
- 14.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

- 15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, გარდა მე-7 მუხლის 7.6 პუნქტითა და მე-8 მუხლის 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.
- 16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი



შ.პ.ს. „პარმაღი“



ქართლისში შ.რუსთაველის გამზ. №9-ში მდებარე ტურისტული საინფორმაციო ცენტრის რეკონსტრუქციის-რეაბილიტაციის დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა

ლიტერატურა: 162000.00 ლარი

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		მანქანა		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	3	4	6	7	8	9	10	11	12	13
1	I სამშენებლო სამუშაოები									
1	აგურის ტიხრების დარღვევა	83	30.81			15.3660	473.43			473.43
2	აივნის იატაკიდან რბილი ქსოვილის აღება	82	223.500			0.50	111.75			111.75
3	აივანზე არსებული თაბაშირბუჯის კედლების მოხსნა	82	264.8			1.5	397.20			397.20
4	აივანზე მიწების მოხსნა	82	55.2			1.50	82.80			82.80
5	ფასადის წინა მოედნიდან ქვაფენილის აღება	82	50.7			1.00	50.70			50.70
6	ტიხრების მოწყობა ტაბაშირბუჯის ფილებით ლითონის კარკასზე	82	121.2	10.20	1236.24	5	606.00	0.5	60.60	1902.84
7	კედლების წყობა მსუბუქი საამშენებლო ბლოკით (30X20X40)	83	40.56	95.00	3853.20	32.5	1318.20	5	202.80	5374.20
8	ტიხრებისა და კედლების მოწყობა მსუბუქი ბლოკით (20X10X40)	83	15.9	110.00	1749.00	32	508.80	5	79.50	2337.30
9	მეტროლოლოგიატის კიტრაჟების მოწყობა ხის ფაქტურით (ვალმაგი მინით)	82	128.46	115.00	14772.90					14772.90
10	მღვ--ს კარის ბლოკების მონტაჟი 0.9X2.2X5-9.9 82	82	9.9	130.00	1287.00	15	148.50	2.5	24.75	1460.25
11	მეტროლოლოგიატის კარის ბლოკების მონტაჟი სველ წებოვან ფაქტურით	82	22	115.00	2530.00					2530.00
12	მეტროლოლოგიატის უემინული კარის ბლოკების მონტაჟი ხის ფაქტურით	82	17.8	115.00	2047.00					2047.00
13	შოგა კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	82	587.9	2.90	1704.91	5	2939.50	0.2	117.58	4761.99
14	მეტროლოლოგიატის ფანჯრის ბლოკების მონტაჟი ხის ფაქტურით	82	8.6	115.00	989.00					989.00
15	კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალგამუხსნის საღებავით	82	587.9	2.90	1704.91	4	2351.60	0.2	117.58	4174.09
16	ტერების დამუშავება ფითხით და შეღებვა წყალგამუხსნის საღებავით	82	670.2	2.90	1943.58	4	2680.80	0.2	134.04	4758.42
17	იატაკის მოპირკეთება აბურით	82	69.71	32.55	2269.06	8.75	609.96	0.2	13.94	2892.97
18	კედლების მოპირკეთება კერამიკული აბურით	82	131.5	32.55	4280.33	8.75	1150.63	3	394.50	5825.45
19	ტუალეტების კედლების მოპირკეთება კერამიკული ფილებით	82	78.8	14.00	1103.20	8.0	630.40	0.5	39.40	1773.00
20	ტუალეტების ჰერმეტიკების მოპირკეთება პლასტიკით ლითონის კარკასზე	82	21	12.00	252.00	3.75	78.75	1	21.00	351.75
21	იატაკის მოპირკეთება მუქლახის ფილებით	82	21	14.00	294.00	8	168.00	0.5	10.50	472.50
22	აივნის იატაკის მოპირკეთება კერამიკული ფილებით	82	169.8	16.50	2801.70	8	1358.40	0.5	84.90	4245.00
23	კიბეზე ხის მოჭირების მოწყობა	82	48.6	100.30	4874.58	10.00	486.00	0.5	24.30	5384.88

24	თარჯიმანების დაფარვა ლაქით	82	48.6	2.90	140.94	3.75	182.25	0.2	9.72	332.91
25	კიბის უჯრედში აღუმზის კარის ბლოკების მონტაჟი ხის ფაქტურით (1X2.4X3=7.2 მ2)	82	7.2	184.00	1324.80					1324.80
26	ფასადის წინა მოედანზე პიდრობოლოვანის მოწყობა საიზოლაციო მასლით იზომასტრუ PAR-400	82	50.7	5.51	279.36	2.5	126.75	0.5	25.35	431.46
27	ბეტონის ფენის მოწყობა სისქით 10 სმ ბეტონით ბ-22.5	82	50.7	10.00	507.00	2.5	126.75	0.5	25.35	659.10
28	ბეტონის საფარის მოპირკეთება გრანიტის ფილკით სისქით 3 სმ წებოცემენტით	82	50.7	80.50	4081.35	25.00	1267.50	1.5	76.05	5424.90
29	ფასადზე ქვის მოპირკეთების გასუფთავება	82	480	2.20	1056.00	5	2400.00		0.00	3456.00
30	ფასადზე აბურის კედლების გასუფთავება	82	480	2.20	1056.00	5	2400.00		0.00	3456.00
31	ფასადზე აბურისა და ქვის ზედპირების დაფარვა წყალმემდეგი ლაქით	82	960	3.15	3024.00	2.5	2400.00	0.05	48.00	5472.00
32	შუბა კედლების აბურის ზედპირის დაფარვა ლაქით	82	285	4.20	1197.00	2.50	712.50	0.05	14.25	1923.75
33	ფასადზე საკანალიზაციო მილის შეფუთვა აბურის წებოთ.	83	0.7	145.00	101.50	32.5	22.75	5	3.50	127.75
	I-ის ჯამი				62460.55		25789.91		1527.61	89778.08
	II კიბის უჯრედის მოწყობა									
1	რკეტონის გადახურვის ფილკების დარღვევა	83	3.11			15	46.65			46.65
2	ბრუნტის დამუშავება ხელით წურტილოვანი საბორკელო საფარის	83	1.2			15	18.00			18.00
3	ზედმეტი ბრუნტისა და ბეტონის ნარჩენების დატოვება და გატანა ა/თვითმცლელით 10 კმ-ზე	85	8.2			10	82.00	5	41.00	123.00
4	რკეტონის საბორკელოს მოწყობა ბეტონით ბ-2.5	83	1.2	100.00	120.00	20	24.00	5	6.00	150.00
5	ლოთონის კოლონების მონტაჟი კვადრატული მილისაგან 200X200X5	86	1.43	1422.00	2033.46	150	214.50	20	28.60	2276.56
6	კიბის ბაქნების კონსტრუქციის მოწყობა შეკვლით №16	86	0.41	1422.00	583.02	150	61.50	20	8.20	652.72
7	კიბის ირიბანების (კასაური) მოწყობა შეკვლით №16	86	0.63	1422.00	895.86	150	94.50	20	12.60	1002.96
8	ლოთონის კონსტრუქციების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით	82	75	2.90	217.50	3.75	281.25	0.2	15.00	513.75
9	კიბის საფეხურების მოწყობა მაგარი ჯიშის ხის მასალიდან სისქით 4 სმ	82	21	84.00	1764.00	20	420.00	0.5	10.50	2194.50
10	კიბის ბაქნების იატაკების მოწყობა ხის მასალით სიქ. 4 სმ	82	9.7	84.00	814.80	20	194.00	0.5	4.85	1013.65
11	კიბების მარშუბისა და ბაქნების ქვეშ შეფიცვრა ხის მასალით სისქით 1.7 სმ	82	32	18.00	576.00	3.75	120.00	0.5	16.00	712.00
12	ხის კიბების შეფიცვრა და ბაქნების იატაკის დაფარვა ლაქით	82	78	3.50	273.00	3.75	292.50	0.2	15.60	581.10
	II-ის ჯამი				7277.64		1848.90		158.35	9284.89
	III- სანტექნიკური სამუშაოები									
1	ტუალეტებში ხელსაბანების მოწყობა	კომ	2	120.00	240.00	45	90.00	10	20.00	350.00
2	უნიტაზების მოწყობა ჩამრეცხი ავზით	კომ	2	140.00	280.00	45	90.00	10	20.00	390.00
3	პოლიპროპილენის წყალგაყვანილობის მილი დ-25 მმ მონტაჟი	ბრძ/მ	30	2.20	66.00	1	30.00	0.2	6.00	102.00
4	პლასტმასის საკანალიზაციო მილის დ-50 მმ მონტაჟი	ბრძ/მ	6	3.50	21.00	1	6.00	0.2	1.20	28.20

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდენობა	I თვე				II თვე				III თვე					
				კალენდარული კვირა				კალენდარული კვირა				კალენდარული კვირა					
				1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4		
1	მოსამზადებელი სამუშაოები	კაც/დღ	14	2													
2	სადემონტაჟო სამუშაოები	კაც/დღ	56	4													
3	სამშენებლო სამუშაოები	კაც/დღ	280					8									
4	მოსაპირკეთებელი სამუშაოები	კაც/დღ	672									12					
5	კიბის უჯრედის მოწყობა	კაც/დღ	84							3							
6	სანტექნიკური სამუშაოები	კაც/დღ	28										2				2
7	ელექტრო სამუშაოები	კაც/დღ	56										2				2
8	კონსტრუქცია, ვენტილაცია	კაც/დღ	70										2				2
	სულ კაც/დღე		1 260														

შენიშვნა:

1. სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 90 კალენდარულ დღეს.
2. თვეები დაყოფილია კვირებად.
3. მოსამზადებელი სამუშაოებისათვის მიღებულია 7 დღე.
4. ობიექტზე საშუალოდ დასაქმებული იქნება ყოველ დღე რიდან 18 კაცამდე.

შპს "პარმადი"-ს
დირექტორი:



თ. შარიქაძე

